ΕΛΛΗΝΙΚΗ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ
Υπουργείο Μετανάστευσης & Ασύλου

ათენი, 19 ოქტომბერი 2020

პრეს-რელიზი

ფართოვდება თავშესაფრის სამსახურის ელექტრონული პლატფორმა – საზოგადოების მომსახურეობა მხოლოდ ელექტრონულადვიზიტისდაჯავშნით

მიგრაციისა და თავშესაფრის სამინისტრო ახალი სერვისებით აფართოებს ციფრულ პორტალს (applications.migration.gov.gr). ხვალიდან (სამშაბათი 20.10.2020), თავშესაფრის მაძიებლებს შეეძლებათ ელექტრონულად დაჯავშნონ ვიზიტი. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამიერიდან თავშესაფრის სამსახური **მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ ელექტრონულად დაჯავშნილი ვიზიტის** შემთხვევაში მოემსახურება საზოგადოებას.

უკვე მხოლოდ დანიშნული ვიზიტით ხორციელდება:

- დაგეგმილი გასაუბრებები
- დაგეგმილი რეგისტრაციები
- ოჯახის გაერთიანებისათვის საჭირო დოკუმენტების შეტანა (დუბლინის საქმეები)

დაშვებულია, როგორც გამონაკლისი საჩივრის შეტანა ვიზიტის წინასწარი დაჯავშნის გარეშე, შეზღუდული ვადების გამო.

პარალელურად, 2020 წლის ივნისიდან ბევრი ადმინისტრაციული პროცედურახორციელდება ელექტრონულად, პირადადგამოცხადების გარეშე, როგორიც არის:

- საკონტაქტო მონაცემთა შეცვლის მოთხოვნა,
- მთავარი მონაცემების შეცვლის მოთხოვნა,

- გასაუბრების გადატანის/დაჩქარების მოთხოვნა,
- განცხადების სტატუსის ცნობის მოთხოვნა,
- ფაილის განცალკევების მოთხოვნა,
- განაცხადი დოკუმენტების შემოტანის თაობაზე,
- საქმის ასლების მიღების მოთხოვნა,
- იურიდიული მომსახურების მოთხოვნის განცხადება,
- მოიძიე ПААУПА

ასევე,თავშესაფრის სამსახურების განტვირთვის მიზნით, საერთაშორისო დაცვის მოწმობების მოქმედების ვადები გახანგრძლივდა 2020 წლის 2 ნოემბრიდან 2021 წლის 14 ნოემბრამდე, საქმის ნომრის ბოლო ციფრის მიხედვით.